განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია ქ. თბილისში, ქუჩა იოსებიძის №49 ნაკ: 017/001 - ზე. რომელიც შ. პ. ს. "ფასადი"-ს კუთვნილებაა. აღნიშნულ მისამართზე განთავსებულია ორი კარკასული ტიპის შენობა, რომლებიც არასაცხოვრებელი დანიშნულებისაა, შენობა №1/4 და შენობა №1/2

არსებულ შენობებს შესასვლელი აქვთ იოსებიძის ქუჩის მხრიდან. შენობა №1/4 -ს ასევე აქვს სარდაფი, რომელშიც ჩასასვლელი განთავსებულია ამავე მხარეს, სარდაფის ჩასასვლელთან განთავსებულია ნაძვის სახეობის ორი ხე.

ჩვენს მიერ არსებული სიტუაციის შესწავლის შემდეგ წარმოდგენილია არსებული შენობის აზომვითი ნახაზები და ფოტოსურათები, ასევე საპროექტო წინადადება.

რომელშიც ნაჩვენებია არსებულ შენობებზე, ერთ სართულიანი შენობის, მიშენების პროექტი. პროექტით მიშენებისას ნაჩვენებია შენობა №2/1 -ის გაგრძელება, რომლის განხორციელებისას, აუცილებელი იქნება არსებული ხეების "მოჭრა ან გადარგვა"

საპროექტო შენობის კარკასი შედგება რკინაბეტონის კარკასისაგან, შემავსებლად გამოყენებული უნდა იქნას პემზის ბლოკები, ხოლო ქუჩის ფასადის მხარეს გაგრძელდება ისეთივე ვიტრინები როგორიც გამოყენებულია, შენობა №2/1 -ზე.

ხოლო რაც შეეხება შენბა №1/4 -ის შესასვლელსა და სარდაფის ჩასასვლელს. განხორციელდება მათი რეკონსტრუქცია, სარდაფში ჩასასვლელი კიბე მოხვდება მიშენებული შენობის შიგნით.

I სართულზე ასასვლელი კიბის გადატანა მოხდება გვერდით ფასადზე (ფასადი ღერძებში 1-3)

გვერდით ფასადზე დამონტაჟებულია გაზგამანაწიებელი ქსელის რეგულატორი, რომლის გადატანასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია შ. პ. ს. "ყასტრანსგაზ-თბილისი"-ს თანხმობა.

გადახურვისას გამოყენებულია ერთქანობიანი გადახურვა. სახურავის კარკასი ხის მსუბუქი კონსტრუქციისაა, რომლის გადასახურათ გამოყენებულია მეტალოკრამიტის ფილები. შენობის ვიტრინებისთვის გამოყენებულია ალუმინის ფანჯრები რადგანაც არსებული შენობის №2/1 -ის ფანჯრები ალუმინისაა.

არქიტექტორი: _____ */ მგიგინეიშვილი /*